# საქართველო

№19 (46) ქართული ლეგიონის ყოველ-კვირეული გაზეთი 9 მაისი, 1943 წ.

## გერმანიის უმაღლესი სარდლობის ოფიციალური ცნობა

„იმ დღიდან, რა დღიდანაც დაიწყო ომი გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის, არ შეწყვეტილა ბოლშევიკების მხეცობანი, რომელსაც ისინი მიმართავენ გერმანელი სამხედრო ტყვეებისა და აგრეთვე დაჭრილების მიმართ.

გერმანიის უმაღლეს სარდლობას ხელთ აქვს მრავალ რიცხოვანი დოკუმენტები, ფოტოგრაფიული სურათები და მოწმეთა ჩვენებანი, როგორც გერმანული დაწესებულებებისა, ისე რუსი სამხედრო ტყვეებისა და განთავისუფლებული ოლქების მცხოვრებთა და აგრეთვე უცხოელთა წარმომადგენლებისა.

გერმანიის უმაღლეს სარდლობას ყოველ წუთს შეუძლია მთელ მსოფლიოს წარუდგინოს მღალადებელი მასალები თეთრი წიგნის სახით.

გერმანიის უმაღლეს სარდლობას დღემდე არ მიაჩნდა საჭიროდ ოფიციალურად ეთქვა პრესაში იმ მხეცობის შესახებ, რომლებსაც სჩადიან წითელი არმიისა და შინსახკომის ნაწილების სამხედრო მსახურნი. გერმანიის უმაღლესი სარდლობის ეს გადაწყვეტილება ეყრდნობა შემდეგ მოსაზრებებს:

1. გერმანიის უმაღლესი სარდლობის განკარგულებაში არის მრავალი დოკუმენტები, რომლებიც ამჟღავნებენ იმას, რომ საბჭოთა მხრივ მხეცობას ეწევიან წინასწარი მოფიქრებული გეგმით — აალელვონ გერმანელი ჯარისკაცები რათა ამ უკანასკნელებმა მიმართონ საპასუხო მოქმედებას.

საბჭოთა მთავრობას ამ ღონისძიებით სურს სავსებით თუ არა, ნაწილობრივ მაინც ალკვეთოს წითელარმიელთა ნებაყოფლობითი გადმოსვლა გერმანელების მხარეზე.

2. გერმანიის უმაღლესი სარდლობა მშვიდობიანი გზით თანამშრომლობს საბჭოთა კავშირის დაკავებულ ოლქების მცხოვრებლებთან. ბოლშევიკების მხეცობის გამოქვეყნებას კი შეუძლია ზიანი მოუტანოს გერმანიის ჯარისკაცებისა და მოქალაქეთა ურთიერთობას რისთვისაც იბრძვიან ბოლშევიკები.

3. გერმანიის უმაღლესი სარდლობა დარწმუნებულია, რომ ომის შემდეგ გერმანიისა და რუსეთის ხალხთა მტკიცე კავშირი იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დაედება საფუძვლად ახალი ევროპის აშენებას. ამიტომ გერმანიის სარდლობა კატეგორიულად უარჰყოფს მიიღოს საპასუხო ზომები, რასაც მიმართავენ ბოლშევიკები გერმანელ სამხედრო ტყვეებისადმი, რუსი სამხედრო ტყვეებისადმი.

მიუხედავად მკაცრი და დაუნდობელი ბრძოლისა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, გერმანიის უმაღლეს სარდლობას თავის მოვალეობად მიაჩნია ყოველმხრივ ხელი შეუშალოს სიძულვილს რუსსა და გერმანელ ხალხებს შორის. რა თქმა უნდა ეს ხელს არ შეუშლის გერმანიის სარდლობას გამოიყენოს ყველა არსებული მასალები ბოლშევიკების მხეცობის შესახებ და გადასცეს იგი უცხოელთა წარმომადგენლებს და მთელს მსოფლიოს დაანახვოს ბოლშევიკების მხეცობანი, თუ ბოლშევიკები თავის მხრივ კვლავაც განაგრძობენ მხეცობას.“

**მთავარ სადგომი. 3 მაისი, 1943 წ.**

## ღ ი რ ს ე უ ლ ი პ ა ს უ ხ ი

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ გერმანიის უმაღლესი სარდლობის ოფიციალურ ცნობას, რომელიც წარმოადგენს პასუხს ბოლშევიკების იმ მხეცურ მოქმედებაზე, რომელსაც ისინი სჩადიან გერმანელი სამხედრო ტყვეებისადმი. ამ ცნობაში როგორც სარკეში მოსჩანს პრინციპული განსხვავება, სისხლიან ბოლშევიზმსა და ნაციონალ - სოციალიზმს შორის. ბოლშევიზმი არის სისხლიანი ტერორი, სიკვდილი, სიმშილი, განადგურება. ნაციონალ - სოციალიზმი არის თავისუფალი შემოქმედებითი ცხოვრება, ახალი სოციალური წესრიგი, სამართლიანობა.

როგორც კატინის საშინელებანი, ისე სხვა ათასეული პროვოკაციებისა, რომლის ორგანიზატორებიც არიან ბოლშევიკები, შინსახკომის სისხლის მსმელი ჯალათები გაშიშვლებულნი არიან მთელი კაცობრიობის წინაშე.

გერმანიის უმაღლესი სარდლობის ოფიციალური ცნობა წარმოადგენს ღირსეულს, შორს გამჭვრეტსა და კეთილშობილ პასუხს ბოლშევიკურ პროვოკაციაზე. ხალხის სისხლის მსმელი ბოლშევიკები ამაოდ ცდილობენ ახალი მხეცობანით შეარყიონ სსრ კავშირში მოსახლე ხალხების სიმპატია გერმანელი ხალხისადმი.

ქართველი ხალხი თავისი მღელვარე პროტესტის ხმას უერთებს მოწინავე კაცობრიობის ხმას ბოლშევიკური მზაკვრობის წინააღმდეგ.

ბოლშევიზმი განწირულია!.. კრემლის სატრაპები გრძნობენ მოახლოებულ დაღუპვას, ამიტომ ისინი მიმართავენ ახალ გაუგონარ პროვოკაციებს შეინარჩუნონ თავიანთი რეჟიმი ხალხის სისხლით...

ქართველი ხალხი, ჩვენი ლეგიონერი ახალგაზრდობა მთელი თავისი სულითა და გულით არის გერმანელ ხალხთან, იბრძვის მის მხარ და მხარ, არავითარ პროვოკაციას არ შეუძლია შეარყიოს ჩვენი და გერმანელი ჯარისკაცების მებრძოლი მეგობრობა!..



მოწინავე პოზიციებისაკენ

## გერმანული ოფიციალური წრეების კ ო მ ე ნ ტ ა რ ი ე ბ ი

**გ**ერმანული ოფიციალური წრეების აზრით, საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ემიგრანტულ მთავრობას შორის დიპლომატური ურთიერთობის გაწყვეტა აიხსნება შემდეგით:

1. სტალინს სურს თავიდან მოიშოროს და მოსკოვიდან გააძევოს ე. წ. პოლონეთის ელჩი, რომელიც იკვლევს კატინის ტყეში დახოცილთ და ეძებს აგრეთვე დანარჩენ მილიონ ნახევარ ადამიანს, რომელიც საბჭოთა მთავრობის მიერ იქნა გადასახლებული საბჭოთა კავშირის ვრცელ ტერიტორიაზე და რომელთა ბედი დღესაც გამოურკვეველია. პოლონელი სამხედრო ტყვეები, რომელთა რიცხვი 694.000 კაცს აღემატება, ცოცხლები არიან და იმყოფებიან გერმანელების ხელში. საჭიროა შევეკითხოთ სტალინს — სად არის ის მილიონ ნახევარი პოლონელი ჯარისკაცი და მოქალაქე, რომლებიც ხელში ჩაუვარდათ ბოლშევიკებს?

2. სტალინს, დიპლომატური ურთიერთობის გაწყვეტით, სურს თავი აარიდოს ყოველგვარ მსჯელობას საზღვრების გარშემო საბჭოთა კავშირის დასავლეთ ნაწილში. გასაგებია ის გარემოებაც, რომ სტალინს პოლონეთი მიაჩნია როგორც მდებარე საბჭოთა კავშირის სტრატეგიულ საზღვრებში და არც აქვს გადაწყვეტილი დაიცვას რაიმე ხელშეკრულება ამ საკითხის გარშემო. სიკორსკის მთავრობასთან დიპლომატური ურთიერთობის გაწყვეტით სტალინს სურს უთხრას ინგლისელებსა და ამერიკელებს, რომ საბჭოთა კავშირი არ ფიქრობს მონაწილეობა მიიღოს იმ საქმეში, რომელიც ეხება ტერიტორიალურ საკითხებს აღმოსავლეთ ევროპაში.

3. მოლოტოვის მტკიცება იმის შესახებ, რომ გერმანიამ და სიკორსკიმ შეჰქმნეს ერთიანი გეგმა იმ მიზნით, თითქოს სურდეთ გამოიყენონ საპროპაგანდოდ საბჭოთა მთავრობის დანაშაული, სისულელეა.

საბჭოთა მთავრობა ყოველთვის ეძებდა მიზეზს, რათა თავიდან მოეშორებია ე. წ. პოლონური ემიგრანტული მთავრობა, რადგან საბჭოთა კავშირს შეიძლება უკვე მზად ჰყავდეს პოლონეთის ბოლშევიკური მთავრობა ისე, როგორც მან ეს მოიმოქმედა კუუსინენის მთავრობის შექმნით რუსეთ - ფინეთის ომის დროს.

## სსრ კავშირმა გასწყვიტა დიპლომატური ურთიერთობა სიკორსკის მთავრობასთან

20 აპრილს საბჭოთა რადიოსადგურებმა გადასცეს მოლოტოვის ნოტა პოლონეთის ემიგრანტული მთავრობის ელჩს რომერს. ამ ნოტაში მოლოტოვი აცხადებს, რომ „პოლონეთის მთავრობის ყოფა-ქცევა საბჭოთა კავშირის მიმართ ამ უკანასკნელ ხანებში სსრკ-ს მთავრობას მიაჩნია სავსებით არა ნორმალურად, რომელიც არღვევს ყოველგვარ წესებსა და ნორმებს ორივე მოკავშირე სახელმწიფოთა შორის.“

პოლონეთის მთავრობის „არა ნორმალურ საქციელად“ ნოტას მიაჩნია ის ფაქტი, რომ სიკორსკის მთავრობამ მიმართა თხოვნით საერთაშორისო წითელ ჯვარს, რათა მოახდინოს კატინის ტყეში მომხდარი მკვლელობის ფაქტების გამორკვევა.

„პოლონეთის მთავრობის ამ ნაბიჯს — ნათქვამია ნოტაში, — ის მნიშვნელობა აქვს, რომ—მოახდინოს დაწოლა საბჭოთა მთავრობაზე იმ მიზნით, რათა უკანასკნელი წავიდეს ტერიტორიულ დათმობაზე საბჭოთა უკრაინის, საბჭოთა ბელორუსიისა და საბჭოთა ლიტვის ხარჯზე.“

ნოტაში აგრეთვე მოხსენებულია, რომ „პოლონეთის ეხლანდელმა მთავრობამ საქმით გასწყვიტა საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობა და დადგა იმ პოზიციაზე, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ყოველივე ამის შემდეგ საბჭოთა კავშირის მთავრობამ გადაწყვიტა გასწყვიტოს ყოველგვარი ურთიერთობა პოლონეთის მთავრობასთან.“

# მდგომარეობა ფრონტებზე

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა 3 მაისის ცნობაში იუწყება,რომ ყუბანის ხიდისთავის სიმაგრესთან ბოლშევიკების ტალღისებური შემოტევანი კვლავ უკუგდებულია უდიდესი დანაკარგით. აპრილის განმავლობაში საბჭოთა ავიაციამ დაჰკარგა 1082 თვითმფრინავი, მათგან 902 ჩამოგდებულია საჰაერო ბრძოლისას, 121 საზენიტო ბატარეების მიერ, 10 ფეხოსანი ჯარისა და ფლოტის ერთეულების მიერ. დანარჩენი განადგურებულია მიწაზე.

ტუნისის ფრონტზე მტრის ადგილობრივი მნიშვნელობის შეტევები მოგერიებული იქნა. გერმანიის ჯარი გადავიდა ნაწილობრივ კონტრ-შეტევაზე.

საჰაერო თავდასხმებისას ჰოლანდიის სანაპიროებზე და დასავლეთის საზღვრის რაიონში ჩამოგდებულია ინგლისის 11 თვითმფრინავი. წინა ღამით მტრის რამდენიმე თვითმფრინავი დაფრინავდა აღმოსავლეთ პრუსიაზე. ჩამოგდებულია ერთი ყუმბართმშენი.

გერმანიის საზღვაო ძალებმა აპრილის განმავლობაში ჩასძირეს მტრის 63 სავაჭრო გემი, რომელთა საერთო წყალწყვა 423 ათასს ბრუტტო-ტონას აღემატება. ჩაძირული გემების საერთო რიცხვიდან წყალქვეშა ნავების მიერ განადგურებულია გემები 415 ათასი ტონის წყალწყვით. გარდა ამისა ტორპედოთი დაზიანებულია მტრის 18 გემი.საჰაერო ძალებმა დიდი ზიანი მიაყენეს ინგლის-ამერიკელთა 10 სავაჭრო გემს.

აპრილის განმავლობაში გერმანიის საზღვაო ძალების წარმატება გამოიხატება შემდეგი მაჩვენებლებით: წყალქვეშა ნავებმა ჩასძირეს 1 ავიომზიდი, 1 კრეისერი, 3 საზღვაო გამანადგურებელი, 1 წყალქვეშანავი. ფლოტის სხვა ერთეულების მიერ განადგურებულია 2 საზღვაო გამანადგურებელი და 7 სწრაფმავალი საკატარღო გემი, ავიაციის მიერ ჩაძირულია 2 წყალქვეშა ნავი და 1 საკატარღო გემი. ამის გარდა დაზიანებულია 2 საზღვაო გამანადგურებელი, 11 სწრაფმავალი საკატარღო გემი, 1 წყალქვეშა ნავების გამანადგურებელი და 1 დამცველი გემი.




ფრონტის ხაზი აღმოსავლეთის ფრონტზე.

## ფიურერმა მიიღო ლავალი

ფიურერმა მთავარ ბინაზე, საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ფონ რიბენტროპისა და იტალიის საგარეო საქმეთა სახელმწიფო სეკრეტარის ბასტიანინის თანდასწრებით მიიღო საფრანგეთის მთავრობის მეთაური პიერ ლავალი.

მოლაპარაკების დროს გამოირკვა ურთიერთ გაგება იმ საკითხებისა, რომელიც ეხებოდა ერთი მხრივ გერმანიასა და იტალიას და მეორე მხრივ საფრანგეთს.

ობიექტიურად იქნა განხილული საკითხი თუ რა სახის მონაწილეობა უნდა მიიღოს საფრანგეთმა ახალი ევროპის შექმნის საქმეში ღერძის სახელმწიფოებთან ერთად ბოლშევიზმისა და მათთან დაკავშირებულ ინგლის-ამერიკის პლუტოკრატიასთან ბრძოლაში და აგრეთვე რა უპირატესობას მიიღებს საფრანგეთი ამ ბრძოლის შეიდეგ.

## ბრძოლა ყუბანში

აღმოსავლეთის ფრონტზე უკანასკნელ ხანებში ადგილი აქვს პოწინავე და მზვერავი ნაწილების ადგილობრივი ხასიათის მოქმედებას. ყუბანის გამაგრებულ უბანზე სწარმოებდა შეუპოვარი ბრძოლა, რომელიც გრძელდებოდა რამდენიმე დღე. ბოლშევიკებმა ფრონტის ამ უბანზე თავი მოუყარეს მნიშვნელოვან ძალებს, რათა მაგარი დარტყმით გაერღვიათ გერმანელთა და რუმინელთა ჯარების პოზიციები.

30 აპრილს ბოლშევიკებმა იერიში მიიტანეს გერმანელთა პოზიციებზე,რომელშიაც მონაწილეობდა საბჭოთა 7 მსროლელი დივიზია, 2 სატანკო ბრიგადა და 2-3 შერეული ბრიგადა. საბჭოთა არტილერიამ ამ იერიშის მომზადებისას დახარჯა 20.000 ყუმბარა. მიუხედავად ამისა, ბოლშევიკების ეს იერიში უშედეგო გამოდგა.

გერმანია-რუმინეთის ჯარებმა მტერს არ დაუთმეს არც ერთი მტკაველი მიწა და გამანადგურებელი ცეცხლით მოსპეს იერიშზე გადმოსული ყველა ტალღა.

მიუხედავად ბოლშევიკების ამ დიდი მარცხისა, ისინი პომავალში კვლავ შეეცდებიან აწარმოონ იერიშები ყუბანზე, რადგან ბრძოლის ამ უბანს მათი ოპერატიული გეგმისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

## ტუნისის წარმატებითი დაცვა

იმ დროს,როცა აღმოსავლეთის ფრონტზე არ მომხდარან რაიმე ღირსშესანიშნავი ამბები, ტუნისში ადგილი ჰქონდა დიდს ბრძოლას,რომელიც მიუხედავად ინგლის-ამერიკელთა მხრივ მთავარი ძალების გადმოსროლისა, დამთავრდა იმით, რომ გერმანელებმა წარმატებით აწარმოეს თავდაცვა.

აღდგომის შუა კვირაში ინგლისელებმა და ამერიკელებმა დაიწყეს დიდი იერიში ტუნისის სამხრეთ ნაწილში, რომელის გამოცდილი აფრიკანული ჯარების წინააღმდეგ. მიუხედავად დიდი საარტილერიო მომზადებისა და საჰაერო ძალების დახმარებისა, ეს იერიში უკუგდებული იქნა გერმანია-იტალიის ჯარების მიერ სამი დღის განმავლობაში.

ინგლის-ამერიკელთა ამ მარცხმა ისინი იძულებული გახადეს სიმძიმის ცენტრი გადაეტანათ ტუნისის ფრონტის დასავლეთის უბანში ალჟირის საზღვართან, სადაც ისინი გადავიდნენ იერიშზე 150 კილომეტრიანი ფრონტის სიგრძეზე.მტერი ცდილობდა მასობრივი დარტყმით გაერღვია გერმანელთა პოზიციები და მიეღწია იმ გზამდე, რომელიც მიდის ტუნისისაკენ.

ინგლის - ამერიკელებს რომ გაერღვიათ გერმანელთა პოზიცია, რა თქმა უნდა ეს მდგომარეობა მეტად მძიმე იქნებოდა ღერძის სახელმწიფოთა ჯარებისათვის. ორი დღის მკაცრი ბრძოლების დროს, გერმანელებს არ დაუხევიათ უკან არც ერთი ნაბიჯი — ამგვარად ინგლის-ამერიკელების ეს ოპერატიული გეგმა განუხორციელებელი დარჩა.

ამის შემდეგ მათ შეავსეს რა თავიანთი ჯარები ახალი დამკვრელი ჯგუფებით, შეეცადნენ გაერღვიათ ფრონტი სამხრეთ - აღმოსავლეთის მიმართულებით. ეს ოპერაციაც განადგურებული იქნა გერმანელთა მიერ და 27 აპრილს გერმანიის სარდლობამ გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ გერმანია-იტალიის ჯარებმა სრული წარმატებით დაამთავრეს ტუნისის დაცვის ეს ფაზაც.



ბრძოლა ტუნისის მთებში საშინელ ხასიათს ატარებდა, ზოგიერთ ადგილს ბრძოლა ხიშტებით სწარმოებდა. იერიშზე გადმოსული ბრიტანელები და ამერიკელები განიცდიდნენ უდიდეს განადგურებას გენრმანიისა და იტალიის საარტილერო ცეცხლისაგან.

გერმანიის ერთ-ერთი ფეხოსანი პოლკი თავის პოზიციებს იცავდა ცივი იარაღით მთელი სამი დღის განმავლობაში ინგლისელებისა და ამერიკელებისაგან, რომელთაც განუწყვეტლივ მოქონდათ იერიში გერმანელთა სიმაგრეებზე.

ამ ბრძოლის დროს განადგურებულია მტრის 193 ტანკი; 75 ტანკი განადგურებულია გერმანული „ტიგრის“ მიერ.

ამერიკელთა ტანკები „გენერალ შერმანის“ ტიპისა და ინგლისის ახალი სისტემის ტანკი „მარკ“ თავისი ღირსებით ვერ შეედრებიან გერმანიის ტანკს „ტიგრს.“ ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთის ფრონტზე.

26 აპრილს ინგლის-ამერიკელებმა შესწყვიტეს თავიანთი ღონისძიებანი და გაიყვანეს თავიანთი ილაჯგაწყვეტილი ჯარი. განსაკუთრებით დაზარალდნენ ჩრდილო-ამერიკის გამოუცდელი ჯარები. ამის შემდეგ მოწინააღმდეგის ჯარების სარდლობა შეუდგა თავიანთი ძალების გადაჯგუფებას და ახალი რეზერვების მოყვანას.

გერმანიის საჰაერო ძალები წამატებით უშლიან ხელს რეზერვების გადაყვანას.

ბრძოლა ტუნისში გრძელდება და მომავალში მიიღებს მეტად მკაცრ ხასიათს. ინგლისელები და ამერიკელები ერთხელ კიდევ იძულებულნი იქნებიან გაიღონ ახალი სისხლიანი მსხვერპლი. ასეთია იმ ბრძოლის შედეგები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ტუნისში აღდგომის კვირის ბრძოლების დროს.

მიმომხილველი.

## ოდესის რაიონში

კატინის რაიონში, პოლონელ ოფიცრების ძმათა სასაფლაოს აღმოჩენასთან დაკავშირებით შინსახკომის ყოფილმა აგენტმა აჩვენა, რომ ოდესის რაიონშიც არის შინსახკომის მსხვერპლთა სასაფლაოები. ამ ჩვენების საფუძველზე ოდესის მიდამოებში ჩატარდა საძიებო გათხრები. აღმოჩენილია დაახლოებით 6.000 გვამი.

აღნიშნული აგენტის განცხადებით, რაც დადასტურებულია აგრეთვე ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ, ბოლშევიკებმა 1940 წელს ბესარაბიისა და ბუკოვინის აღების შემდეგ წამოიყვანეს რუმინელები და სხვა ეროვნების მოქალაქენი, რომლებიც დახვრეტილ იქნენ აღნიშნულ ადგილს.

# ნანკინი და ჩუნკინგი

საბჭოთა კავშირის მზგავსად ჩინეთი გადაჭიმულია ვებერთელა სივრცეზე. ამის გამო ომის რამდენიმე წლის მანძილზე იაპონიამ შესძლო დაეკავებინა და ორგანიზაცია ეყო ჩინეთის მხოლოდ მნიშვნელოვანი ოლქებისა. ნანკინის ხელისუფლების ხელში მყოფი ტერიტორია შეადგენს ჩინეთის მთელი ტერიტორიის ერთ მესამედს. ამ ოლქებში სცხოვრობს ჩინეთის მოსახლეობის 75 პროცენტი, დაახლოებით 300 მილიონ კაცამდე.

ჩუნკინგის მბრძანებლობაში იმყოფება მდინარე იანგცზის ზემო ხეობა და რამდენიმე თხლად დასახლებული, ვიწრო სივრცეები. ამგვარსავე მდგომარეობაშია სოფლის მეურნეობისა და გზათა მიმოსვლის საქმე.

იაპონია ფლობს ჩინეთის ყველა ნავთსადგურებს ტანძინიდან გონკონგამდე. რკინიგზების 70 პროცენტზე მეტი იმყოფება ნანკინის ხელისუფლების განკარგულებაში. აქ გადიან მნიშვნელოვანი სამდინარო გზები მდინარე იანგცზეს, ხუანხეს შესართავებთან და იმპერატორის არხი. ქალაქებში შანხაი, გონგკონგი, ნანკინი და ტიანძინი თავმოყრილია მთელი ჩინეთის მრეწველობის 90 პროცენტამდე.

იაპონელებმა მიაღწიეს თავიანთი პირველი რიგის სამხედრო სტრატეგიული ამოცანის ბრწყინვალედ განხორციელებას. მათ მოიპოვეს შესაძლებლობა ორგანიზაცია ეყოთ და ჩამოეყალიბებინათ სამეურნეო თვალსაზრისით აღმოსავლეთ ჩინეთის მნიშვნელოვანი ოლქებისაგან აღმოსავლეთი აზიის გავლენის წარმატების სფერო. ამ სფეროში ნანკინის მთავრობა თამაშობს გადამწყვეტ როლს.



რაინდოგის ჯვრით დაჯილდოებული გენერალი გენზელი მიდის ფრონტის დასათვალიერებლად.

# დავეუფლოთ სამხედრო საქმეს

## მსროლელი ოცეული მოგერიებით ბრძოლაში




მსროლელი ასეული მოძრაობდა სალაშქრო რაზმეულად და შეჩერდა ტყეში სიმაღლე 44,2-ს სამხრეთ-დასავლეთით, რათა ასეული განლაგდეს მოგერიებაში.

ასეულის მეთაურმა გაანაწილა ასეულის მოგერიების უბანი და პირველ მსროლელ ოცეულს მისცა თავისი მოგერიების უბანი შემდეგ საზღვრებში: სიმაღლე 34,2, სიმაღლე ცალკე ხით და ღელე—ყველა პუნქტების ჩათვლით.

ასეულის მეთაურის სათვალთვალო პუნქტია სიმაღლე 44,2. ასეულის სავაზნე და სანიტარული პუნქტები მოთავსებულნი არიან ტყეში სიმაღლე 44,2-ს სამხრეთ-დასავლეთით.

ყველა მოგერიებითი სამუშაოები უნდა დასრულდეს 18 საათზე.

დრო — 16 საათია.

მოცემული ამოცანა უნდა ამოიხსნას პირველი ოცეულის მეთაურის მაგიერ.

გაზეთ „საქართველოს" რედაქცია აცხადებს კონკურსს ამ ამოცანის საუკეთესოდ ამოხსნაზე. თემა: „მსროლელი ოცეული მოგერიებით ბრძოლაში".

პირობა: 1. ზემოდ მოთავსებულ ტოპოგრაფიულ რუქაზე უნდა დალაგდეს მსროლელი ოცეული მოგერიებაში. (რუქა ამოსჭერით)

2. ქაღალდის ცალკე ფურცლებზე დასწერეთ: ა) ადგილმდებარეობის შეფასება, ბ) ოცეულის მეთაურის ბრძანება მოგერიების ზღუდის დასაკავებლად, გ) ოცეულის ზურგის მოწყობა, დ) მოკლე სქემა კავშირის ორგანიზაციისა.

3. ყველა მასალა გამოგზავნეთ ჩვენი გაზეთის მისამართით არა უგვიანეს 1 ივნისისა.

4. რედაქცია გაარჩევს თქვენს გადაწყვეტილებებს და საუკეთესო გადაწყვეტილება იქნება მოთავსებული ვრცლად ჩვენს გაზეთში. ამოცანის სწორად ამომხსნელი მიიღებს ჯილდოს რედაქციისაგან.

5. ამოცანის გადაწყვეტა დასაშვებია, როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფურადაც.

# მარშლების ოთურმა

24 აპრილს, ღამით, მოსკოვის რადიო სადგურმა გვაუწყა, რომ წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობაზე დანიშნულია მარშალი ვასილევსკი, მაგრამ მოსკოვის რადიო არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწვია გენერალური შტაბის ყოფილ უფროსს მარშალ შაპოშნიკოვს. ცხადია, რომ მარშალი შაპოშნიკოვი უკვე „ლიკვიდირებულია". სხვა არა იყოსრა, საბჭოთა პრესაში მთელი ამ ათი თვის განმავლობაში „გრგვინავდა" „სახელოვანი" მარშლის სახელი, საბჭოთა გაზეთებს მისი სურათიც კი ამშვენებდა.

სტალინურ არენაზე, როგორც სჩანს „ჩაესვენა" ერთი მზე, მაგრამ აი სცენაზე გამოდის „ლენინ-სტალინის საქმისადმი ბოლომდე ერთგული" მარშალი ვასილევსკი.

ვასილევსკის დანიშვნა გენერალურ შტაბის უფროსის თანამდებობაზე იმითაც არის საინტერესო, რომ „კრემლის" კულისებში და კერძოდ მოსკოვის ავტორიტეტულ წრეებში ფიქრობდნენ, რომ შაპოშნიკოვის ადგილს დაიჭერდა მარშალი ჟუკოვი, რომელიც დღემდე განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა, ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მარშალ ჟუკოვს მინდობილი ჰქონდა, როგორც „მუშურ—გლეხური" წითელი არმიის წარმომადგენელს მოლაპარაკება ეწარმოებინა ინგლის — ამერიკასთან.

მარშალ ვასილევსკის დანიშვნა ამ მხრივ სავსებით მოულოდნელია, რადგან დიდი ხანი არ არის რაც მას მიენიჭა მარშალის სახელწოდება. როგორც ირკვევა იგი არის ახლად წამოყენებული პიროვნება, რომელსაც „წყალობის" თვალით უყურებს სტალინი და რომელმაც ჩრდილში მოაქცია ჟუკოვის პიროვნება.

შაპოშნიკოვის ასე „უგზო - უკვლოდ" დაკარგვა მოგვაგონებს საბჭოთა კავშირის სხვა მარშლების ბედს. როგორც ვიცით, ტუხაჩევსკისა და ბლიუხერის დახვრეტის შემდეგ საბჭოთა კავშირში კიდევ დარჩა ხუთი მარშალი: ტიმოშენკო, ვოროშილოვი, ბუდიონი, კულიკი და შაპოშნიკოვი. ამ მარშლებიდან ტიმოშენკო, რომელიც ამ „სამამულო" ომის პირველ დღეებში თამაშობდა უდიდეს როლს, ომის მეორე წელს უკანა პლანზე მოექცა. ამჟამად მას ჩრდილოეთ ფრონტზე უჭირავს ერთ-ერთი საბრძოლო უბნის მთავარსარდლის თანამდებობა. ასე ჩამოვიდა სცენიდან სამხრეთის ფრონტის ოპერაციების „გენიალური მხედართმთავარი" და საბჭოთა კავშირის ყოფილი თავდაცვითი საქმის სახალხო კომისარი. ამაზე მეტი დაცინვა ბედისა შეიძლება იყოს სადმე?

მარშალ ვოროშილოვის სახელი დიდი ხანია, რაც ბურუსშია, თუმცა დრო გამოშვებით, როგორც „ცდომილი ვარსკვლავი" გამოკრთოდა იგი ხან კავკასიაში და ხან კარელიის ყელზე, მაგრამ ამ ბოლო დროს ჩაჰქრა სამუდამოდ. ასეთივე „მაცდური" ბედი ხვდა წილად „სახელგანთქმულ მხედართმთავარს" ბუდიონს, რომელიც სამოქალაქო ომის მეთოდითა და დაჟანგული ხმლით ლამობდა შებმას თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ მოწინააღმდეგესთან. არენიდან გაჰქრა აგრეთვე მარშალი კულიკიც. არავინ იცის თუ რისთვის გაიმეტა იგი ასე მწარედ სტალინმა. ბოროტი ენები ამბობენ, თითქოს კულიკი, თავიდანვე წინააღმდეგი ყოფილიყოს ომის წარმოების სტალინური ტაქტიკისა; საეჭვოა, რომ იგი ამ ჟამად ცოცხალი იყოს. ამის შემდეგ გასაგებია მარშალ შაპოშნიკოვის ბედიც. ამგვარად საბჭოთა კავშირის ძველი „გვარდია მარშლებისა" სამუდამოდ განადგურებულია. თვით ჟუკოვიც, რომელიც „ამოტივტივდა" ომის უკანასკნელ წლეებში და რომელმაც რიგიანად ვერცკი მოასწრო მარშლის ექსელბანტების დაკერება, თავიდან მოიცილეს.

ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ სტალინმა შემოიკრიბა ახალი კადრები და მათ შორის სტალინური ტიპის მარშლის მწვერვალზე არიან ვასილევსკი და ვორონინი, მაგრამ ვეჭვობთ, რომ დიდ ხანს შერჩეს მათ ეს სახელი. ვასილევსკის მზეც ალბად მალე ჩაესვენება, რადგან საბჭოთა კავშირში მარადიული არაფერია — ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი იცვლება.



ჩრდილოეთის ფრონტი. მინმტყორცნის პოზიცია.



გერმანელი ჯარისკაცები ამსხვრევენ ყინულს მდინარეზე.

## ალდგომის ზარი

ცა მოილრუბლა, დაბნელდა...
დროებით სიმწუხარეა.
მზე ჩადრ-მოსხმული მისცურავს,
გვიან ამოდის მთვარეა.

ვინა სთქვა,—სეტყვას დაგვიშენს...
ტყუილი ნაუბარია.
ქართველს ვერ გასტეხს ვერარა,
გულ - რკინა, უშიშარია.

ეს მხოლოდ მოჩვენებაა,
ციდან ვარდნილი ნამია!
კვლავ დარეკავენ ზარები,
დადგება ტკბილი ჟამია.

აგერ გაიბნა ბურუსი,
მთას შეეფინა ცხვარია.
და განკურნებულ სამშობლოს
უმღერის მთა და ბარია.

ღელავს, ბობოქრობს, მრისხანებს,
საქართველოში მტკვარია.
კვდება ბოროტი!..უსმინეთ,
რეკავს აღდგომის ზარია.

**დ. არაგველი**

## ვიქტორ ლუტცე

3 მარტს მძიმე ჭრილობის შემდეგ, რომელიც მიღებული იყო ავტომანქანის კატასტროფისას, გარდაიცვალა მოიერიშე რაზმების შტაბის უფროსი ვიქტორ ლუტცე. იგი დაიბადა 1890 წელს.

ვიქტორ ლუტცე მონაწილეობას ღებულობდა პირველ მსოფლიო ომში, იყო ადოლფ ჰიტლერის ერთ-ერთი ერთგული და უძველესი თანამებრძოლი.

ნაციონალ - სოციალისტური პარტიის ბრძოლის ყველაზე მძიმე პერიოდში ის არ ჰკარგავდა გამარჯვების რწმენასა და მთელი ენერგიითა და შემოქმედებითი უნარით იბრძოდა, მუშაობდა ნაციონალ - სოციალისტური იდეების გასამარჯვებლად. 1934 წლიდან ვიქტორ ლუტცე ასრულებდა საპასუხისმგებლო თანამდებობას — მოიერიშე რაზმების შტაბის უფროსის მოვალეობას.

ვიქტორ ლუტცეს სახით გერმანიის ხალხმა დაჰკარგა ნაციონალ-სოციალიზმისა და სამშობლოსადმი ერთ-ერთი მგზნებარე, თავდადებული მებრძოლი.

## ბოლშევიკებს ეშინიათ

თურქეთის რადიოს კომენტატორი შეეხო საბჭოთა პრესის დამოკიდებულებას კატინის ტყეში მომხდარ საშინელებაზე,რომელიც ყოველგვარ საფუძველს იძლევა ვსთქვათ, რომ საბჭოთა საზოგადოებრივ აზრს ეშინიან ამ საქმის.

მოსკოვს რომ სინიდისი წმინდა ჰქონდეს, მაშინ ბოლშევიკებს არ შეეშინდებოდათ გადასცემოდა საქმე საერთაშორისო წითელ ჯვარს.

ეჭვს გარეშეა, რომ — დაასკვნის თურქეთის რადიოს კომენტატორი — გერმანიის ხელისუფლებას საშუალება აქვს გამოამზეუროს მასალები ბოლშევიკების მხეცობათა შესახებ.



ლეგიონერები სანგარში ბრძოლის წინ

# მეგობრებს

აქ დასავლეთში, უცხო მიწაზე
და უცხო ცის ქვეშ შეფარებული,
ფიქრით, ოცნებით მუდამ იქა ვარ,
სადაც ამოდის მზე დიდებული!..
მარტო არა ვარ. გულს მეფოლადებს,
როცა კი მესმის სიტყვა ქართული.
ვხედავ მეგობრებს და მით ვნუგეშობ,
რომ არ ვყოფილვარ მე დაკარგული!..
ეს მასულდგმულებს, სიცოცხლეს
მმატებს,
მიყვარს მე ჩემი სისხლი და სჯული,
გულში ვით სვეტი, აღმართულია
მისადმი ტრფობა და სიყვარული!..
ჩვენ ხომ ქართულმა მიწამ დაგვბადა,
მისმა მთა-ველმა შთაგვბერა სული,
ოცნების ვარდი კვლავ იფურჩქნება,
შორით გვეძახის ტურფა მამული!..

**დ. მთიული**

## საერთაშორისო კომისია კატინში

ამ დღეებში, საერთაშორისო კომისია, რომელიც შესდგება სხვა და სხვა ქვეყნების გამოჩენილი ექიმებისაგან (ბელგია, დანია, ფინეთი, იტალია, ბულგარეთი, ხორვატია, ჰოლანდია, ბოჰემიისა და მორავიის პროტექტორატი, უნგრეთი და მათ რიცხვში ნეიტრალური შვეიცარია) დაესწრო კატინის ტყეში გათხრილი, პოლონელი ოფიცრების სამარის განხილვას.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე საფრანგეთის მთავრობის რწმუნებული — საფრანგეთის საექიმო ინსპექტორი. კომისიამ კატინში, დაჰყო 28 - 30 აპრილამდე. ამ ხნის განმავლობაში ნაპოვნი იქნა 982 გვამი პოლონელი ოფიცრისა, რომელთა 70 პროცენტის ვინაობა გამორკვეულია. კომისიის წევრებმა 30 აპრილს,შეადგინეს და ხელი მოაწერეს ოქმს, სადაც ერთხელ კიდევ დადასტურებულია მთელი მსოფლიოს წინაშე ბოლშევიკური ბოროტმოქმედებათა ეს კოშმარი.

## შეამოწმე შენი სამხედრო ცოდნა

**1. რა არის „გამოსასვლელი ზღუდე“**

**2. რამდენი ეტაპია შეტევაში?**

**3. რა მანძილზე უნდა იმოძრაონ წყვილმა მზვერავებმა და კავშირის რა საშუალება აქვთ სალაშქრო ბერასთან?**

**4. თუ ჯარი ველად დაბინავდა ღამის გასათევად ანდა დასასვენებლად, რას გამოყოფს ის დაცვის სამსახურისათვის?**

**5. როგორ დაალაგებთ დაზგის ტყვიამფრქვევებს მოგერიებაში და როგორი სახეობა იქნება ცეცხლის გამოყენებისა?**

**6. როგორ გესმით „მოგერიების წინა ზოლი“ და რით განისაზღვრება იგი?**



ახალი პოზიციებისაკენ

## თერგის პირად
### (მებრძოლი ლეგიონერის დღიურიდან)

შუა დღე გადასული იყო. მზე აფრქვევდა თავის სხივებს ინგუშთა სოფელს. სოფელი გადასცქეროდა თერგს, ფერდობებს, ხევებს. მთის იდუმალებას არღვევდა ყუმბარმშენთა გრიალი...

რამდენიმე საათია რაც ამ მიდამოში მკაცრი ბრძოლაა... მტრის ჯავშნიანი მანქანების საწინააღმდეგო თხრილები გადალახეს გერმანელებმა, მტრის სანგრები იწვიან... ბოლშევიკები ყველა სახის იარაღით აწარმოებენ ცეცხლს რათა შეტევაზე გადასული გერმანელები შეაჩერონ... გერმანელთა ვაჟკაცი სამთო ჯარისკაცები სანგარს-სანგარზე იღებენ...

მტერი უკუიქცა... კიდევ ერთი შეტაკება. საარტილერიო სროლა მიწყდა. აქა იქ ისმის თოფის სროლა. თერგის ერთ-ერთ ბექობიდან ქართველი ლეგიონერი გ. გადასცქერის მდინარეს. ამ ბრძოლაში მას სასიკვდილოდ დაუჭრეს მებრძოლი ამხანაგი.

— ვერ მიცნობ თერგო ! — ებაასება იგი თერგს... გიჟი თერგი შხუის...

— მოვედი შენთან გაგიზიარო ჩვენი ხვედრი. შენ ხომ ჩვენი ცოცხალი მატიანე ხარ!.. განა შენმა ტალღებმა არ შეერთეს ჩვენი ვაჟკაცურად დაღვრილი სისხლი?!. შენი წყლით დასველებული მიწა ქართველებს პეშვით გვაქვს შემოტარებული უცხოეთში?..

— თერგი კვლავ შხუის, თითქოს ისმენს შვილის მუდარასაო ხან დაამდება, ხან შფოთავს.

ლეგიონერის ფიქრი დასტრიალებდა შორს, მაღალ მთებს, ამ მთებს იქით გადაშლილ ზურმუხტოვან მიდამოს — საქართველო რომ ჰქვიან. იგია მისი სამშობლო, დედის ძუძუ და უყვარს იგი ჭაბუკს, მისთვის ღვრის ცხელ სისხლს.

ჭაბუკის ფიქრი ხმაურმა გასწყვიტა... იგი გამოერკვა ძახილზე, ტყიდან ეძახდნენ მას მებრძოლი ამხანაგები. ტყეში ერთი მსხვილი ხის ძირში, ჩირგვნარებთან ქართველ ლეგიონერთა ჯგუფი იყო. ისინი საუბრობდნენ ბრძოლის შედეგზე, გუშინ მათი ასეული ორჯერ შეხვდა მტერს ხელდახელ, ბიჭებმა თავი გამოიჩინეს!.. მ. მივიდა მეგობრებთან.

მოშორებით გზაზე გამოჩნდა რიგები...გერმანელ ჯარისკაცებს მოჰყავდათ
—ტყვე წითელარმიელები...

— ბიჭო თედო!.. ტყვეები მიჰყავთ, გავიქცეთ, იქნებ ნაცნობ ვიპოვოთ, ჩემი ძმა, მამა, ბიძა ხომ ფრონტზე არიან...— უთხრა ლეგიონერმა ი-მ თავის მეგობარს...

— წავიდეთ!.. წავიდეთ!.. იყო პასუხი და ყველანი გადაეშვნენ გზისაკენ. თედო დაფიქრებული მიდიოდა, მის თვალისწინ ათასგვარი სურათები იშლებოდნენ, წინათგრძნობა რაღაცას მეუბნება — ფიქრობდა იგი და შაშხანის თასმას მაგრად უჭერდა ხელს. ჩაიარეს ტყვეების რიგებმა.გამხდარი და ჯვარცმული სახეებით... ჟანგიან სახეზე სქელ წვერი ამოსვლოდათ. რიგის ბოლოს მიდიოდა გამხდარი ახალგაზრდა, ცხოვრების მძიმე პირობებს, ფრონტსა და ჯოჯოხეთურ ყოფას იმის სახეზე დაღი დაეჩნია... ახალგაზრდა შეკრთა... ანგარიშმიუცემლად წამოიყვირა:

— ძმაო თედო!.. —

ეს ყვირილი არ ჰგავდა სიმწრისაგან ამონაქუხს...არც აღგზნებისაგან გამოწვეულს აღფრთოვანებას... არა, იგი სრულიად თავისებური იყო.

— ძმაო თედო!.. ძმაო!..— დაალრიალა იმან და ჩაიკეცა...

— სოგრატი!.. სოგრატი!.. — დაუყვირა თედომ და გაექნა ძმისაკენ, რომელსაც თვალთაგან ღალა-ღუპით გადმოსდიოდა სიხარულის ცხელი ცრემლი... რამდენიმე წუთის შემდეგ თედო ეხვეოდა ძმას გამოწყობილს მტრის ტანსაცმელში...

სოგრატის თვალის გუგანი თითქოს ელვარებდნენ... ბაგენი თითქოს ჩურჩულებდნენ:

— ასეც უნდა მომხდარიყო!..

გაიარეს დღეებმა... სოგრატი ლეგიონერი გახდა. მის მოძმე ქართველებთან ერთად შეჰფიცა მამულს ერთგულება... ასე შეჰფიცეს სიმართლესა და ჭეშმარიტებით აღძრულს ბრძოლას ერთგულება სოგრატისთანა ათასეულებმა, ადამიანებმა, რომლებმაც დაჰგმეს ბოლშევიკური ჯოჯოხეთი და იპოვეს ჭეშმარიტი გზა...

**ლეგ. ხ.**

# რღვევა საბჭოთა ზურგში

საბჭოთა ზურგში საშინელი რღვევა და გაჩანაგებაა. ბოლშევიკებს სურთ თავიანთი სისხლიანი დანაშაული თავს დაატეხონ გაწამებულ მოსახლეობას. ამ რამდენიმე დღის წინად სტალინის მითითებით, კალინინის ხელმოწერით გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მთელს რკინისგზაზედ სამხედრო წესების შემოღების შესახებ.

ბრძანებულება მიზნად ისახავს დაუნდობლად მოსპოს დეზერტირები და უდისციპლინონი რკინისგზის ტრანსპორტზე. თვითეული უბრალო დანაშაული ჩადენილი მუშისა და მოსამსახურის მიერ განიხილება როგორც უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დანაშაული, ჩამდენნი ისჯებიან დახვრეტით ან უკიდურესს შემთხვევაში საჯარიმო ასეულებში გაგზავნით ბრძოლის ველზე. ცხადია საბჭოთა ჯარის საჯარიმო ასეულში წასვლას —სიკვდილი სჯობს.

რკინისგზაზე როგორც ცნობილია საბჭოთა კავშირში ამჟამად მუშაობენ მოხუცები, ქალები და მოზარდები, მათ აგრეთვე უხდებათ ჭაპან-წყვეტით ოფლის ღვრა ზურგის სხვა სამუშაოებზედაც. ფრონტზე გაგზავნილ მამაკაცთა მაგიერ ბოლშევიკები ძალით მიერეკებიან ქალებს, მძიმესა და ქალისათვის აუტანელ სამუშაოებზე. ამის შესახებ მეტად საინტერესო ცნობებს გვაძლევენ მრავალრიცხოვანი წერილები, რომლებიც გერმანიის ჯარისკაცებს უვარდებათ ხელში. მოგვყავს ერთი წერილი, იგი ეკუთვნის ლეიტენანტ სპირიდონოვის მეუღლეს. „ბოლოს და ბოლოს როგორც იქნა მე მოვეწყვე სამუშაოდ. ვმუშაობ სამხედრო ნაწილის საწარმოო ნაწილის გამგედ, თვეში ვღებულობ 250 მანეთს. შენ რომ გენახე ალბად ვერ მიცნობდი ისე გავხდი, ყოველდღიურად ვსუსტდები და ძალას ვკარგავ. არ ვიცი რა ვქნა. ალბად ამ ზამთარს ველარ გადავიტან. ახლა ვზივარ მარტოდ-მარტო შტაბის ოთახში. ჩემი უმფროსი სადღაც წავიდა, ძლიერ მშიან, შინ კი ერთი ნაჭერი პურიც არა მაქვს. აქ ისე ცივა, რომ მთელი დღე პალტოთი მიხდება მუშაობა. შენ ალბად არ იცი რომ მე მომიხდა წამოსასხამის გაყიდვა. დასვენებაზე არ მივდივარ რადგან არ შემიძლიან ვუცქირო ალიკას. საბრალო ბავშვი, რა დაემართება მას არ ვიცი...

მუშაობა მეტად ძნელი და მძიმეა. მუშაობას ვიწყებთ დილის 9 საათზე და ვამთავრებთ ღამის 11 საათზე. ვფიქრობ ამ პირობებში დიდ ხანს ვერ ვიცოცხლებ. როდის დამთავრდება ეს წყეული ომი? ცხადია მას ჩვენ ვერ გადავიტანთ. შენი დის შვილი, რომელიც ლენინგრადიდან ჩამოვიდა გარდაიცვალა“.

ასეთი წერილები ათასეულებია. ისინი მოდიან საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეებიდან. ყველგან ერთი და იგივე სურათია— სიმშილი, სიცივე, სიღატაკე, აუტანელი მუშაობა, და თუ არ შეგწევს ძალა იმუშაო — დახვრეტა.

## გაფიცვები ამერიკაში

**ვაშინგტონიდან მიღებული ცნობებით ამერიკის შეერთებულ შტატებში იფეთქა სამთო მრეწველობის მუშათა გაფიცვამ. გაფიცულია ნახევარ მილიონამდე მუშა. ხელისუფლებამ რეკვიზიცია უყო გაფიცულ საწარმოებს.**

**გაფიცულთა რაიონებში ხელისუფლებამ შეიყვანა ჯარი და მოიყვანა ისინი საბრძოლო მდგომარეობაში.**

**მიუხედავად ამ ღონისძიებებისა გაფიცვა კვლავ გრძელდება. ქვანახშირის ნაკლებობის გამო სარკინიგზო მიმოსვლა შეფერხებულია.**

# გამოთხოვების დღეები

**ფიქრებს დაუნისლიხარ ზამბახებში ნაზარდი,**
**ღამის ავი ზმანება ლანდად აგდევნებია,**
**მკერდი ჩამოღეულა მარგალიტის მაგვარი,**
**ყვავილებში ნაბანი სახე გაფითრებულა!..**
**მახსოვს შენი წარსული ვარდული და ცქრიალა,**
**თეთრ პეპლებში ლაშქრობით, როგორც ბავშვი, გართული,**
**უდარდელად დაცლილი სიყვარულის ფიალა,**
**გულის გასატიალად ახლა გრძნობა გაცრილი!..**
**არ ისმინე მუდარა, ცას გაეკარ ფრთა - ნაზო,**
**სურვილებმა უსაზღვრო მზეში გაინავარდეს,**
**ხშირმა სუნთქვამ დანისლა გაქურდული სალამო**
**და ჩამოდნა საამო მკერდი მზე - ნესტანისა!..**
**შემდეგ ობლად რჩენილი ბნელ ღამეში მარტოკა**
**გამიხსენე და ხშირი სუნთქვით მკერდზე მომეკარ,**
**მაგრამ მაშინ ამ გულმა უნუგეშოდ დაგტოვა,**
**ირგვლივ სევდა დასთოვა ისევ შენით დაგულმა!..**
**მივდიოდი გულმკვდარი უმეგობრო მგზავრივით**
**ჩემგან უარყოფილი სიყვარული აღვსილი,**
**და მესმოდა ღამეში ბედისწერის ზარივით**
**მისუსტებულ ძალის ხმით სულშიქარის თარეში!..**

**ლეგ. ტ. ჟ.**

## „ხალხთა მამის“ რეზერვები

ახლა გერმანიის არმიის საზაფხულო შეტევის წინ „ხალხთა მამა“ სტალინი, წითელი არმიის სარდლობა ფრონტზე მოერეკება ყველაფერს, რაც კი დაღუპვის წინ მდგარ საბჭოთა კავშირს მიაჩნია, როგორც ვიცით 1941 წლის ბრძოლებისას გერმანელთა მიერ განადგურებულ და ტყვედ იქნა წამოყვანილი ყველა წითელი არმიის საკადრო ნაწილებიდა ხათადარიგო ჯარები, რომლებიც შეკრებილნი იყვნენ პირველი რიგის თადარიგის მობილიზაციისას.

მიმდინარე წლის ზამთრის კამპანიაში სტალინს მოუხდა უკანასკნელი რეზერვები გადმოესროლა ბრძოლის ველზე, მან ფრონტზე მორეკა შორეულ აღმოსავლეთის არმიის ნაწილები და ციმბირის ჯარები. ეს ჯარებიც ნახევრად განადგურებულნი და ბრძოლის უნარ დაკარგულნი არიან. ამგვარად კრემლის სატრაპს კვლავ უხდება თავის მტვრევა და ფიქრი ახალ კონტინგენტზე.

ტყვეთა ჩვენებიდან ირკვევა, რომ ამჟამად წითელ არმიაში ფრონტზე დგანან ნაწილები; ისინი უმთავრესად შესდგებიან მოხუცებისა და ახალგაზრდებისაგან, რომელთაც 18 წელიც არ შესრულებიათ. საზენიტო ბატარეებში, სამხედრო დაწესებულებში, სანიტარულ ნაწილებში თითქმის მთლიანად ქალები არიან.



მტრის კიდევ ერთი გემი მიდის ზღვის ფსკერისაკენ.

# მწერალთა ბედი საბჭოთა საქართველოში

საბჭოთა კავშირის პრესა ხმამაღლა გაჰყვირის იმ დიდი მზრუნველობისა და გულისხმიერი დამოკიდებულების შესახებ, რომელსაც საბჭოთა მთავრობა, ბოლშევიკური პარტია და პირადად „ხალხთა მამა“ სტალინი იჩენს კულტურისადმი საზოგადოდ და მწერლობისადმი კერძოდ. ამ მიმართებით უხვად იმოწმებენ მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის ბრძნულსა და „ისტორიაში ჯერ არნახულ“ აზრებს.

რაღა თქმა უნდა, „ბრძენ“ ლენინ—სტალინის პარტიას „ბრძნული“ შთამომავლობა გააჩნია და ამიტომ, ყოველ რესპუბლიკასა, თუ ოლქში იწრთვნებიან მირონცხებული „სასიქადულო“ შვილები, რომლებიც თავიანთი მხრივ გულისხმიერად მზრუნველობენ... მწერლობისათვის... კულტურისათვის. ცხადია, ქართველი ხალხიც, რომელიც არა ნაკლებ იზიარებდა საბჭოთა კავშირის ხალხების ხვედრს, გააბედნიერა განგებამ და მოუვლინა მას „საამაყო“ შვილი — ლ. პ. ბერია, ჩვენში პავლოვიჩად წოდებული.

ამ ბრუტალური საბჭოთა პროპაგანდის აზრი გასაგებია.

მართლაც, უკანასკნელ ხანებში (განსაკუთრებით 1933-1934 წლებიდან მოყოლებული) მათ მკვდრეთიდ აღადგინეს ზოგიერთი ქართველი მწერალი,— წინად საბჭოთა მთავრობისგანვე მოკვდინებული. „ახალი“ შუქი მოჰფინეს მათ შემოქმედებას, „იდეოლოგიური“ დამოკიდებულება მათდამი „შესცვალეს.“ ეს იდეოლოგიური წაჯექ-უკუჯექობა, ხალხის ბანგად ხმარებული, მარქსის „ღრმა“ ფილოსოფიითაც კი იქნა „დასაბუთებული.“

პირველი შეხედვით, გულუბრყვილო მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნება, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის ერთად-ერთი გულშემატკივარი ჩვენი ერისა, რომ სოციალიზმის „დამყარების“ შემდეგ შეიცვალა პრინციპი ბოლშევიკური მართვა-გამაგრებისა. მაგრამ ის, ვინც გულდასმით ადევნებდა თვალყურს ჩვენი ქვეყნის რეალურ განვითარებას, კარგად იცის, რომ „არ გათეთრდება ყორანი“...და გველი გველადვე დარჩება, რაოდენგზისაც არ უნდა გამოიცვალოს კანი, ოღონდ ეს კია რომ რაც უფრო ხშირად იცვლის კანს საბჭოთა მთავრობა — ეს პოლიტიკური ქვეწარმავალი იმდენად მეტად მსახვრალია მისი ხელი, ხოლო მომწამვლელი მისი შხამი. ამ შხამის გამო არის, რომ ამ წერილში ვერ ვახსენებთ ბევრი ქართველი ძოლვაწის გვარსა და სახელს.

თუ როგორ მზრუნველობს ბოლშევიზმი ჩვენი კულტურისათვის, ცხადი გახდება ქვემოდ მოტანილი მეტად შემოკლებული ფაქტებიდანაც.

1921 წლიდან მოყოლებული, როდესაც საქართველომ დაჰკარგა დამოუკიდებლობა, მეორედ, 1933 წლამდის ჩვენს მწერლობასა და მწერლებს (გარდა ცვლილთ და ცოცხლებს) განსაკუთრებული ენერგიით ებრძოდნენ, სადისტური სისასტიკით აწამებდნენ. 1933 წლიდან კი სასწორი ცოცხლების საზიანოდ გადახარეს, გასაბჭოების პირველი დღეებიდანვე მძიმე ლაგამი ამოსდეს ჩვენს მწერლებს, რომლებიც ახლა უკვე მხოლოდ პოეტური სიტყვით ასახავდნენ ქართველი ხალხის უსასოო მდგომარეობას, დასტიროდნენ დაკარგულ დიდებას, ამხელდნენ რა ბოლშევიკ უზურპატორთა იმპერიალისტურ ზრახვებს:

**„ჩვენ სიჭაბუკეც არ გვღირსებია,**
**ადრე დაგვჩხავლა ყვავმა ბედითმა“**—

სწერდა ერთი პოეტი საქართველოს უბედობის შესახებ; ხოლო სხვა ნაწარმოებებში იგივე მწერალი მოსთქვამდა:

„ქარტეხილები ჩვენი ბედია,
გზა გოლგოთაზე ასვლას უდრიდა,
**სისხლი სწყუროდა ყველა ბნედიანს**
**გადმოხვეწილებს თავის ბუდიდან.“**

ერთი დიდი ქართველი მგოსანი „ქართველ კომუნისტებისადმი“ ლექსში შემდეგნაირად ასახავდა შექმნილ გარემოებას (ლექსი ფრიად გავრცელებული იყო იმ დროს არალეგალურად, ხელნაწერის სახით):

„თქვენ ამბობდით, საქართველომ
რაგინდ ბევრი გაიბრძოლოს,
ის რუსეთის კომუნისტად
გადიქცევა მაინც ბოლოს.
ეს, ასრულდა! თქვენ მოხველით,
ჩვენ დაგიხვდით ორივ ხელით,
მაგრამ **ხალხი არ შეგარჩენთ**
**სხვის ხიშტსქვეშ რომ შემოხველით.**
განა ჩვენ აქ ტახტი გვედგა,
ან ზედ დავსვით ვინმე მეფე,
რომ **ქართველთა წმინდა სისხლი**
**დაღვარეთ და ააჩქეფეთ?**
განა ჩვენი არწივები
გაურბოდნენ დროშას წითელს,
რომ **დღეს ჩვენზე ახარხარებთ**
**ყველა ბილწს და ყველა სკვითელს.**
ო, ჩვენ ისე შევეჩვიეთ
ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს ფერს, ჩვენს ხმას,
რომ **ვერასდროს ვერ ავიტანთ**
**გამარჯვებულ რუსის ჩექმას.**
ზეინაბად გადვიქცევით,
გულს ჩავიკლავთ ალთქმას შმაგურს
და უსისხლოდ არვის მივცემთ
**არც ერთ კუთხის არც ერთ აგურს** (მოგვყავს შემოკლებით).

მართლაც, ქართველმა ხალხმა უსისხლოდ არც ერთი კუთხე არ დასთმო; მან მეორე უთანასწორო ბრძოლა შესთავაზა მტერს 1924 წლის დიდი აჯანყების სახით. ეს ბრძოლა დღემდის გრძელდება. ამ აჯანყების სისხლიანი ტერორიზების შემდეგ განსაკუთრებით იდევნება მშრომელი ხალხი,

(გაგრძელება მე-6 გვერდზე)

## კვირეული ილუსტრირებული მიმოხილვა











გერმანელი მეზღვაურები ამზადებენ წყალქვეშა ყუმბარებს ზღვაში ჩასაშვებად.—პირველი სპორტიული თამაში მოედანზე დუნინებს შორის. —მოწინავე პოზიცია ნევის სანაპიროზე, მტრის პოზიციისაგან 120 მეტრის მანძილზე. —ფრონტზე დათბა, სანგარში წყალია, გერმანელი ჯარისკაცი ასხამს წყალს სანგრიდან. — გერმანიის სამთო ჯარისკაცები ფრონტის კლდოვან უბანზე.

# მოკლე ცნობები

▲ როგორც მექსიკიდან იტყობინებიან, ტროცკის მკვლელს, ჟან მორნაროს მიესაჯა 20 წლის პატიმრობა. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ მისი პროცესის მანძილზე, ბრალდებული ყოველთვიურად ღებულობდა 300 დოლარს უცნობ წყაროებიდან.

▲ იტალიასა და ინგლისს შორის მეორეჯერ მოხდა სამხედრო ტყვეების ურთიერთ გაცვლა, თანახმად ჟენევის კონფერენციის დადგენილებისა. გაცვლილი იქნება 2.000-მდე სამხედრო ტყვე.

▲ თეირანიდან იტყობინებიან, რომ ირანში ადგილი ჰქონდა საბჭოთა და პოლონურ ჯარის ნაწილებს შორის შეტაკებას.

▲ რეიტერის სააგენტოს ცნობით ქაირში ჩამოვიდა გენერალი მონგომერი.

▲ ამერიკის საინფორმაციო სამინისტროს ცნობით, ამერიკის სადესანტო ჯარების მთავარსარდალი ჩრდილოეთ აფრიკაში, გენერალ-ლეიტენანტი ლესლი მაკ ნეილი, 23 აპრილს დაიჭრა ტუნისის ფრონტზე.

▲ 21 აპრილს ღამით სამხრეთ შვეციის ტერიტორიაზე ჩამოვარდა ბრიტანეთის ყუმბართმშენი, რომელმაც ტერორისტული თავდასხმა მოაწყო შტეტინზე. თვითმფრინავის ეკიპაჟი, 7 კაცის შემადგენლობით, ინტერნირებულია შვეციის ხელისუფლების მიერ.

▲ შვეიცარიის ოფიციალური ცნობებით, 15 აპრილს შვეიცარიის ტერიტორიაზე ჩამოვარდა ბრიტანეთის „ველინგტონის“ ტიპის ყუმბართმშენი. ეკიპაჟი, რომელიც შესდგება 5 კაცისაგან, ჩამოეშვა პარაშუტებით და ინტერნირებულია ხელისუფლების მიერ. ყუმბართმშენი ცეცხლში დაიწვა.

## საინტერესო შემთხვევა

ამას წინად საინტერესო შემთხვევას ჰქონდა ადგილი ამერიკის გემთსაშენ ქარხანა „გენდი კაიზერში“. იქ წყალში უნდა ჩაეშვათ ახალი სატვირთო გემი 6.000 ტონა წყალწყვისა, რომელიც აშენებული იქნა სარეკორდო ვადაში. გემის წყალში ჩაშვების წინ, თვით ქარხნის მეპატრონემ კაიზერმა წარმოსთქვა მეტად ამაღფრთოვანებელი სიტყვა, რომელმაც აღნიშნა გემის აგების სარეკორდო დრო. ამის შემდეგ გემი ჩაშვებული იქნა წყალში, მაგრამ არ გასულა რამოდენიმე წუთი და გემის კორპუსი საშინელი ხმაურის შემდეგ გასკდა.

როგორც გამოირკვა ამის მიზეზია არა შესაფერი და უხარისხო საამშენებლო მასალები, რითაც აგებული იქნა აღნიშნული გემი. ამასთანავე ერთად ისიც გამოირკვა, რომ გემის მშენებლობის დროს ადგილი ჰქონდა სპეკულაციას, მექრთამეობასა და მოსყიდვას.

ამ განსაცვიფრებულ შემთხვევას ამერიკული პრესა შეხვდა სამარისებური სიჩუმით, მაგრამ როგორც ვიცით შუბი ხალთაში არ დაიმალება. ინგლისისა და კანადის წრეებში ამის შესახებ უკვე ლაპარაკობენ; მაგრამ სინამდვილეს შეიცავს ის გარემოება თუ როგორი ზნეობრივი სული ბატონობს საერთოდ ჩრდილოეთ ამერიკის გემთსაშენ ქარხნებში და კერძოდ „გენრი კაიზერის“ ქარხანაში.

## მწერალთა ბედი საბჭოთა საქართველოში

მისი ათასწლოვანი დიადი კულტურა.

1924 წლის აგვისტოში (აჯანყების თვე) დაიბეჭდა „მნათობის“ მეხუთე ნომერი. მასში მოთავსებული იყო გ. ტაბიძის შესანიშნავი პოემა: „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა.“ ბოლშევიკ კულტურტრეგერებს ეს პოემა არ მოეწონათ, იგი ამხელდა (არა პირდაპირ) მათ შავ ზრახვებს, ამიტომ „მნათობის“ (რედაქტორი ვ. ბახტაძე, შემდეგ ოპოზიციონერი—„ალიგავა პირისაგან მიწისა“!) ეს ნომერი „ამოიღეს“ და ამ პოემის გარეშე დაბეჭდეს იგი. ამავე მწერალს აქვს დაწერილი ლექსი: „1918“. ეს ლექსი პირველად მთავრდებოდა შემდეგნაირად:

„ასე სიკვდილი ელის გენრას,
სასახლეები კი — ნაძირალებს.“

ცხადია, კომუნიზმის მესვეურებმა ნაძირალებად საკუთარი თავი იცნეს სრულიად სამართლიანად და ამ ლექსის უკანასკნელი სტროფი „ამოიღეს“.1925 წლიდან ატმოსფერო თანდათან მუქდებოდა: „იდეოლოგიური ბრძოლა“ დაიწყო განსაკუთრებით სიმბოლისტების წინაამდეგ; ქართული ლიტერატურა ბოლშევიკურ უნიჭო აგიტაციად გადაიქცა. ალ. აბაშელი ასე ახასიათებს ამ ხანას:

„მაგრამ დღეს სხვაა ჩვენი ჰაერი,
დაეცა ლოცვა და პოეზია,
მოკვდა ბრწყინვალე ძველი შარი
და ახალს ჩრდილი შემოესია.
გაგიკვირდება, ლექსს რად არ შველის
რომ კვლავ ამაღლდეს რჩეულ
ხარისხად
ციდან ქუხილი ბარათაშვილის,
მთიდან ყვირილი ვაჟას ხარისა.
ახლა ქუხილი არ ისტამბება,
ხარი არ ყვირის მაღალ მთებიდან,
ლექსი დაალრჩო წვრილმა ამბებმა
ამონაწერმა გაზეთებიდან.“

ფიზიკური დასჯით გაანადგურეს მწერალთა დიდი უმრავლესობა, ხოლო ნაწილმა დუმილი — „პოეტური თვითმკვლელობა“ არჩია. ქართველ მწერალთა წინაალმდეგ, გარდა ოფიციალური შინსახკომისა, ლიტერატურული ჩეკა—პროლეტარული მწერლობა გამონახეს, რომლის ზვარაკად არა ერთი ქართველი მწერალი დაეცა. ბევრმა ქართველმა მწერალმა იგემა შინსახკომისა და შორეული ციმბირის საშინელება.

ბოლშევიკების „მზრუნველობის“ ქვეშ პირველი მსხვერპლი ქართულმა კლასიკურმა მწერლობამ გაიღო, საზოგადო კრიტიკული წერილები, სასკოლო, თუ საუნივერსიტეტო კურსი ქართული მწერლობისა ალსავსე იყო კლასიკოსებისადმი ცილისწამებით: „თავადაზნაურთა იდეოლოგი, წვრილბურჟუაზიული მწერალი“, „მუშათა კლასისათვის უსარგებლო“, „დაქვეითებისა და გადაგვარების გზზე მდგარი“ და სხვა მსგავსი ეპითეტები უხვად ამკობდნენ ბარათაშვილს, ილიას, ყაზბეგს და სხვათ. ხოლო ვაი იმას, ვინც ამ ბოლშევიკურ პროკრუსტოს სარეცელზე არ გაშოლტავდა საწყალობელ მწერალს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

**ლეგ. ე-სი**

პასუხისმგებელი რედაქტორი
ლეგ. ასეულის მეთაური **გ. მადაურიძე.**
წერილები უნდა გამოეგზავნოს
შემდეგი მისამართით:
Georgische Zeitung, Berlin W 35. Am Karlsbad 28

ქართული სტამბა, ბერლინი.
Deutscher Verlag, Berlin.